

მარცხელი
გიგანტი

1968



№ 24 (1298)

ღია გვარი

1968

საქართველო

გამოცემის 45-ე წელი ვაკე 20 353.

ჩ ვ ე ბ თ ნ ა ძ ვ ი ს ხ ე მ

საქართველო
განცხადითი განცხადი

თამადამ, კიდევ ოჯახის უფროსმა, ქა-
მარი კიდევ უფრო შეუშვა, რათა ღიპის-
თვის მეტი სილადე მიეცა და დიასახლისს
მარიფათიანათ შეუძახა:

— ნადევდა ხარიჭონოვნა, აბა, ერთი
ჯიხვები!

მაგიდაზე ჯიხვის ორი ყანწი დალაგდა.
თამადამ რქების ნაწიბურებში პუტკუნა
თითები ოსტატურად ჩაალაგა, შემდეგ
ხელებით ხმა ჩაიწმინდა და დაიწყო:

— ამ ტრადიციული სასმისით მინდა
მორიგი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ეს
საქართველოს სადღეგრძელოა. გაუმარ-
ჯოს ჩვენს ქვეყნას, სადაც ეს ღვინო და-
იწურა, სადაც ეს ჯიხვები დაიხოცა, სა-
დაც ეს ცოცხალი დგაფუნობს (თამადამ
ქლორით მოწამლულ თევზს კუდში ხელი
მოკიდა და ყველას დასანახად მაღლა
ასწია), სადაც ეს ნაძვი ხარობს (თამადამ
საახალწლოდ მორთულ ნაძვის ხისენ გა-
იშვირა ხელი) და სადაც ჩვენისთანა ბი-
ჭები არიან. თამადამ კიდევ ბევრი იღა-
პარაკა, იგი პირს აღებდა და კუმავდა,
კუმავდა და აღებდა, მერე გამოცალა ჯიხვი
და კიდევ შეუშვა ქამარი, ახლა სხვებმა და-
იწყეს პირის გაღება და დაკუმშა, მათაც
დაცალეს ჯიხვები.

რა გინდა სულო და გულო სუფრაზე
რომ არ ელაგა, ქათმები და ინდაურები
თავწაჭრილები იყვნენ და რას იტყვიდნენ,
გოჭს პირში ბოლოკი პქონდა ჩაჩრილი
და ხმას როგორ ამოიღებდა, თევზებს სათ-
ქმელი ჰქონდათ, მაგრამ პირში კიდევ
შერჩენდათ ქლორიანი წყალი, მხოლოდ
ნაძვის ხე იდგა ჯერ კიდევ ნედლი და

წიწერამოუცვენელი. და დაიწყო ნაძვის ხემ
ლაპარაკი, ან რაა გასაკვირი, ხმელ წი-
ფელს თუ შეუძლია სიტყვის თქმა, ნედლ
ნაძვს ვითომ რატომ გაუჭირდებოდა?

— ეი შენ, უნამუსო თამადა, ამდენ
ღვინოს რომ სვამ და მაინც არ წითლდე-
ბი. სად დაკარგე კაცობა, იქნებ სანადი-
როდ რომ იყავი და ამ ჩვენი მთების სია-
მაყეს — ჯიხვს ტყვია ესროლე, ან იქნებ
სათევზაოდ რომ წახვედი და მდინარე და
თევზი მოწამლე, ან იქნებ მაშინ, ტყეში
რომ გალესილი ნაჯახით მოხვედი. რას
მიყურებ ასე გაკვირვებული! ვერ მიცანი?
მე იმ დიდი ნაძვების შვილიშვილი, ძმის-
შვილი და მემკეიდრე ვარ, შენ რომ გა-
მოგაჯანმრთელეს. გამსოვს, აბასთუმანში
ლოყებჩაცვენილი და გაფითრებული მო-
ხვედი. ჩემმა უფროსმა ნათესავებმა ტანი-
დან ავადმყოფობა გამოგწოვეს, ფერი და-
გიბრუნეს, გაგატუნტულეს და ფეხზე და-
გაყენეს. დღეს დგახარ და სვამ სამშობ-
ლოს სადღეგრძელოს, რა არის შენთვის
საქართველო? მხოლოდ გაშლილი სუფრა
და მზადა ხარ შენი სიამოგნებისათვის
შთანთქო. კიდევ კარგი, ყველა შენისთანა
არაა, თორემ ვაი, ჩვენს ქვეყნას, საჩრდი-
ლობელიც არ დარჩებოდა. კაცი არა ხარ?
წადი მაღაზიაში, მე შენ გეტყვი, ტრანს-
პორტზე ფული დაგეხარჯება, „ვოლგა“
არა გყავს თუ რა? იყიდე სინთეტიკური
ნაძვის ხე, მეორე წელსაც გამოგადგება,
მესამესაც, მეათე წელსაც, მე კი შენს მე-
თე თაობასაც გაუწევდი სამსახურს, გა-
ვალამაზებდი ჩვენს ბუნებას, თუმცა მე
შენ სულაც არ გაწეხებს. მთელი დღე

ტრაბახობდი ნადევდა ხარიტონოვნას-
თან, როგორ მომჭერი და როგორი კონს-
პირაციით წამომიღე. შალიკო, დიმიტრი,
ვარლამ, სიმონ, არ დაუჯეროთ მაგას რომ
თქვენი მეგობარია, ტყუის! მაგას ტყის მე-
გობრის წიგნაკიც უდევს შარვლის მარ-
ჯენა ჯიბეში, მაგრამ, ხომ ხედავთ, მე
რა მიყო! ასე მოგემცვათ თქვენც თუ და-
ჭირდა.

რომ წამოდექი და დამიწყე საქართვე-
ლოს სადღეგრძელო, რა ნამუსით? საქარ-
თველოს სილამაზეს, ჯანმრთელობას, სია-
მაყეს — ტყეს ანადგურებ და მერე იძა-
ხი: „გაუმარჯოს საქართველოსო!“ აი, გვე-
რდზე რომ კაცი გიზის, იმან რომ შამპა-
ნურის ბოთლი აიღოს და გრეხვოს თავში
და მერე თქვას: „გაუმარჯოს თამადასო!“
რაგარია?

არა, მე არ მჯერა შენი სიტყვების და
ვინც დაგიჯერებს, იმასაც ვნახავ რა დახ-
ლი დაუდგებათ. ნაძვის ხეს კიდევ რაღაც
უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბავშვებმა, რომ-
ლებიც გარს უვლიდნენ მას, დაიწყეს სიმ-
ღრუა:

„ჩვენო ნაძვის ხეო, რა გაგვახარეო...“
ნაძვის ხე კი იდგა, საპატარძლოსავით მო-
რთული და ბავშვებს აზრადაც არ მოს-
დიოდათ, რომ მათმა მახებმა სიცოცხლე
წართვეს საქართველოს ბუნების კიდევ
ერთ ულამაზეს შვილს.

სუფრა ახლა დამნაშავებით სავსე სა-
სამართლო დარბაზს ჰგავდა, ნაძვის ხე
იყო მოსამართლე და ამავე დროს მოწ-
მეც. არ იყო მხოლოდ დამცველი.

გარი მეტრეველი

ნახ. 2. ვილიამალავასი



— ქალაც არ გაერქ, რომ ნაძვის ხე სინთეტიკურია?

— უკაცრავედ, მოლო თქვენს ხარშ?

უსანიშნავი საქციალი

ახალ წლს მთელი გარშემა უჩვეულო აღფრთოვანებამ მოიყავა. ჭაბუქმა ტომაშ კოტებმა ფიდაც მოხუც ქალს ტრანზიში აღილი დაუთმო.

გავიგვ თუ არა, იმ წამსვე რეპორტიორის ბლოკინტით შევისარაღდნა და იმ სახლისაკენ გავარდდ, სადც ტომაშ ტოტები ცხვრობდა. ორი საათის ცდის შემდეგ მხვდა ბედნიერება თვით კოტებს შეგვედროდი.

ჩემს გამოჩენაზე გმირმა უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— კელავ ინტერიუს!

— რა შეთაგანონათ ასე მოქცეულიყავით? — ვკითხე მორიდები.

— გიასახებთ დაუფარავად. ეს მოხდა პირველი ანგარს. ამ ახალ წლის დღეს გავიღვიძე შევენერი განზრახვით, კარგი რამ გამჟღვეთინა. ჩემი გული აღსავს იყო სიომთოთი და სურვილით, სიეკე მომეტანა ადამიანებისათვის... მე გავიფირებ: „ტომაშ კოტებ, დაიწყე ახალი წლი ისეთი საქეცილით, რომ მეტობრიობს დღიანს დაჩრება კეთილშემიტერ მოგონებად!“ ახალი წლის ამ პირველ დღისა ვგრძინობდი, ხალხისადმი სიყვრულმა და უდიდესი თავგანწირულებისადმი სწრაფება უბრალოდ როგორ იფეთქა ჩემში. მაგალითი დაკეტილი რომ არ ყოფილიყო, შეედინდი პირველ შემსვედრ „გატრონიშია“ ვაყიდდი შეოთლი მონაცირულ ძეგლს და ისე, რომ ჩემს განათხას არც ვეტყოდი, პირველ შემსვედრ მოთლოს გაჩერებდოა... ამ, როგორ ვოცნებობდი იმაზე, რომ ვანმე ბავშვი ავტომბილის ქვეშ ჩაარდნილიყო და მე იგე გადამერჩინა, თუნდაც თვად დაეღუპულიყავი... ვიდევ ტრამბაის გაჩერებასთან იმ იმდენთ, რომ ბედი განასარცყილებინებდა კეთილ განზრახვებს, სწორედ ამ ძროს მოიგდა ტრამბაი...

— რომელი ნომერი იყო, არ გასოვთ? — ვკითხე აღელვებულმა.

— ამას რა დამავაწყებს. ეს იყო მეტვრამეტე ნომერი.

ეს რომ თქვა, ხმა ჩაუწყდა, მაგრამ მალევე დაეუფლა თავს და განაერთი.

— ტრამბაში უცტ ადგილი გათავისუფლდა. სხვა რამდენმე ახალგაზრდასან ხანტკლე ბრძოლის შედეგად ადგილს მე დავეცულე მაგრამ იქვე შევნიშნე, რომ ჩემს გვერდით მოხუცი ქალი იდგა.

— მე, ალბათ, ყურადღებას არ მივაჭვევდი ამ ყოველდღიურ სურათს, თუ არა შენაგანი ხმა, რომელმაც დაიძახა ჩემში, აი, აქ... — მან მივითოთ ხალათის ღილაზე, — აი, აქ, შეგნით დაიძახა ხმაშ: „ტომაშ კოტებ, შენ შემთხვევას ეძებ, რომ შესანიშნავი საქციით ჩაითინი. და აქ, შენს წინ სრულიად მეაფილ დეას მოხუცი ქალი“. მერე ყველაფერი ისე იყო, როგორც სიტმარში... მე არ ვიცე ეს როგორ მოხდა. გახოვთ მომიტევოთ — აღელვების გარეშე მიმდინარე ამაზე ლაპარაკი...

მან ცხირი მოიწმინდა და წყალი შესვა. ოთახში დაბული მდეუმარება სუცველი. მოღლიოდ ჩხაკუნიბდა ფოტოპარატები, წრიპინებდა რეპორტიორთა მუდმივი კალმები.

— და მაშინ... დაამთავრა მან ოდნავ გასაგონად, — მე მას აღილი დაუთმე.

— როგორ? რაბისად? — ვკითხე ჩურჩულით.

— ავღევი და გუთხარი: „დაბრძნებით“.

ორი კურცხალი სამარცხვინოდ ჩამოიგორდა დაწებებზე,


მაგრამ წუთის შემდეგ უკვე აღარ მრცხველოდა ჩემი მღელვარებისა.

ოთახში საერთო ტირილი გაისმა. კველაზე ხმა-

მაღლა მამაკაცები ქვითინებდნენ.

თარგმა შ. ამირანაშვილია

ნახ. გ. აბაშიძესა



— გადარჩი? მომილობას ახალი წელი!



სისტემი

• • •



წელს, საასალწლო მზადება დატერიუმი მოგვინებით, კენჭისყრით ბაზარში წასვლა ბე დამევალა ბრძანებით. მომცეს მოზრდილი ხელჩანთა, ორთა, ორმაგი, ორტოლი, უკა სიდედრიც გამომყავა, როგორც კონცულტანტ-კონტროლი.

სწორედ იღბალი დამეცა, ნეტა სულ ამ გზით ვიარო, რაც ბაზრით ვისიამოვნე, მსურს, ყველას გაუუზიარო:

ჯერ ერთი, ბაზრის კარებთან, სიდედრი სადღაც დავკარგე, მეორეც, საყიდლებისთვის, არცოუ დიდი გზა დავქარგე.

ინდაურს იქვე წააწყდი, ხელში აწევა გაჭირდა, ქონი ბუმბულში უჩანდა, შებერევა არც კი დამჭირდა.

თუმანი გადავაწოდე, ძალით ჩავუგდე დახლშია, სამ მანეთს ხურდას მაძლევდა.

ძლივს დავებილე ხალხშია. იქიდან, გახარებული, მეხორცისაკენ გავბრუნდი, „აირჩიეო“, რომ მითხრა, კინალიძი იქვე გავბრუნვდი.

სულ რბილი ხორცი აწონა, ჩემი მეგონა გარემო, თან სუკიც გმოაყოლა, „მწვალიც მიირთვი ბარემო“.

უთი კაპიკი მივეცი, ჭინძში, ქონდარში, კამაში, უდ კონა ხანგიც დაადეს, ძალით გამირცვეს ქამარში,

სამ თავ ნიორსაც მაძლევდნენ, „კიდეც დაუწვას ცეცხლსაო, შე კაცო, მწვანილსა ცილით, განა ოქროს და ვერცხლსაო!“

მოკლელ, სადაც კი მივედი, უველგან სიკეთე დამიხედა, ნეტა რა ღინზე აღდექი, ან ვასი ლოცვა ამხედა.

ტაქსში ჩავჭექი, შოფერმაც ფული აიღო ნიხრითა, სახლში ხელსავს დავბრუნდი, არი შევალე წიხლითა.


აქ კიდეც სხვა სიურპრიზი, ძელოდა თურმე ბინაზე, სიხარულისგან კინალამ გადავტრიალდი ყირაზე.

სადღაც „ბორჯომი“ შემესვა, „თავისუფალი ტოსტითა“, კაპიკი მეტი იელოთ, გამოეგზავნათ ფოსტითა.

კელარ გავუძელ სიხარულს, ჭიქას ჭიქაზე ვავსებდი, არ ღავუცადე ახალ წელს,

ცეც ვსამლი, ცოლსაც ვასმევდი. კელოცავდით, ვადლოცავდით, ვარ ღვინით, თან სიხარულით, მთვრალები შევხვდით ახალ წელს.

გ. ჩიხვილაძე
3. მამუკალაშვილი



ახლა კი გადმოგვევთ ცნობას ამინდის შესახვევ!



— ვეხედე, არ ეცვათ ქალებს მოკლე კაბები, არც სარმაზი
მანქანები ჰქონდათ, მაგრამ ცხოვრობდნენ.



— ემხანამ მოსამართო, ამ კაცებს ღუდით სავსე კათხა
დაკარტყა თვავშ.

— ტყუილია, გატონი, ჩვე სიცოცხლეში არ ემისის კათხა
ღუდით!

„კოლგიანი სასიძო“

სასიძედრ-სასიმამროსთან წარვეზავნე ღელვაციანი გამარტინი
უფროსად ბიძა დაგნიშნე (მოლაპარაკე კაცია) გამარტინი.
წინ მიგვიძღვოდა ბაბუა, წელს ერტყა ქამარ-ხანჯალი;
მე მეცამეტე გოჭივით უკან მივდევდი ჩანჩალით.
თან გახალდა სამი ღეიდა, რვა ბიძა, ხუთი ბიცოლა,
მითხრეს: თუ გამოგატანეს, დღესვე შეირთო ის ცოლად!
სიტყვა ბიძამ აიღო: აი, რაშია საქმეო,
შეილებს ვფიცაგრ, ასეთ ბიჭს თქვენ ვერ შეხვდებით სადმეო.
ამ ხნის კაცი ვარ, მაგისგან ცუდი არ მასსოვს რამე ჯერ,
ენას არ შემოგიბრუნებს, თავში რომ ჩაცხო თვრამეტჯერ.
სულ წიგნებზეა დამკვდარი, ვშიშობ არ გადაგვერიოს,
ისეთი ნიჭიერია, შინ ეძახიან გენიოსს.
სულვალაჯერი რომ იცის, ეს დიდი ტვინის გამოა,
თუ პროფესორი ვერ გახდა, დოცენტი მაინც გამოვა.
ცებგაბე, უკრავს და არტისტობს, ჭკუიდან შევმლის პირდაპირ,
რა გინდა რომ არ იძღვროს, სირაჩხანა თუ სირტავი.
სწავლა სწყურია საშინლად, უინსტიტუტოდ მოკვდება,
ხუთი წელია აბარებს, გაასად მაინც მოხვდება.
ბიჭი აგერ ჯვარს, სახეზე, რა წყნარია და რა დინჯი!

სულმთლად ლამაზი არაა, მაგრამ არც ისე მახინჯი.
ბავშვობილანვე პოეტობს, განა სხვის ლექსებს კითხულობს...
მამა პყავს გამგე რესტორნის, ერთ თვეში „ვოლგას“ ყიდულობს!
შერე ბიცოლა წამოდგა, უნდოდა ეთქა მეტი და...
ჩემი საცოლე მომვარდა, კისერზე ჩამომეკიდა...

ვალ ციცხავი

ეკრანული იუმორი

ობოლი

— ამბობენ, ცოდნას დედა იძლევა და არა უნივერსიტეტი
— მეც დიდი ხანია ვფიქრობ, რომ შენ ობლად გაიზარდე.
ასეც ვფიცრობდი

მომაკვდავი ქმარი ცოლს უუბნება:
— როგორც მოვკვდები, მიხეილს გამყევი ცოლიდ. ის პა-
ტიოსანი და გამრჩე კაცა.

— მეც ასე ვფიქრობ, — უბასუხა ცოლმა.
ეს ედინარე ღრმა?

— ღედა, ეს მდინარე ღრმა?
— ძალიან, შვილი!
— მაშ, ბატებს რატომ მარტო მუცლამდე სწვდება?
თავი იგართლა

ბიჭი სკოლიდან დაბრუნდა. ღედაშ შეხედა, ჭრდი ისევ და-
ხეულია და ტალაში ამოსვრილი.

— რა არის ეს?
— ეს ბავშვებმა..
— რა ბავშვებმა?
— ბავშვებმა წამართეს და ფეხსურთის თამაში ღაიწყეს...
— კი მაგრამ, შენ სად იყავი?
— მე კარში ვადექი.

გაგუა და ზვილიზვილი

— ბაბუ, ოდესმე იყავი ბავშვი?
— ვიყავი, შეილო, ვიყავი.
— ჴო, რა სასაცილო იქნებოდი შენი მელოტი თავითა
და თეთრი წვერით!

ზიჯის მიზანი

ბაბუა და ბებია მაიღის გარშემო სხედან.
ბაბუა ეურნალს კითხულობს, ბებია ქსოვს.

ბაბუა რალაცა ბუტბუტებს თავისითვის:

— ცხრა ათას... მილიონი წლის შემდეგ... მზე... სიცოც-
ლის დასასრული დედამიწისე.

— ამდენი წლის მერე, ამდენი წლის მერე?

ბებიამ გულზე ხელი იტაცა და ნართი გაუვარდა.

ბაბუა დასხარა და ხმალლა წაიკითხა:

— ცხრასი მილიონი წლის შემდეგ...
— მადლობა ღმერთს, — ღმშვიდიდა ბებია, — მე კი ისე

შევშინდი... მეგონა 9 მილიონი წლის შემდეგ.

რა გვია?

— რა გევია ბიჭიკო?

— გამაჩემის სახელი.

— გამაშენს რა ჰევია?

— ჩემი სახელი.

— აბა, თქვი, სადილად როგორ გიხმობენ?

— ოჲ, საღილზე დაძახება არ მშირდება, პირველი მიუ-
ღივარ.


უკრაინულიდან თარგმა
რაულ ჩილაჩაჩიშ

68-779

1
1968

ИНДЕКС 76137

გამაცემი
2022 წლის 1 კვირი



ნატურიდან.



გენდესვერის ქალი ტიპის იარაღი.

მოწინაშე
აქვთ ალარი

